ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 17
25/04/2018

17-08-4-201804251644

ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმა დანართი 2–ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 3

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) შედეგების ოქმის ტიპიური ფორმა დანართი 3–ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 4

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების ტიპიური ფორმა დანართი 4–ის შესაბამისად. (თან ერთვის).

მუხლი 5

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობებიანი აუქციონის (საჯარო/ელექტრონული) ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულების ტიპიური ფორმა დანართი 5–ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 6

დამტკიცდეს ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმა დანართი 6–ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 7

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაური მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების, აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით მართვის უფლებით და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის, პირობებით/უპირობოდ, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების თაობაზე ჩოხატაურის საკრებულოს 2015 წლის 20 მარტის №14 დადგენილება.

მუხლი 8

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა